შემოსვლის თარიღი: 22/02/2022 წ

გასვლის თარიღი: 14/03/2022 წ

დასკვნა

ქ. ბათუმში, ლერმონტოვის ქ №102-ში მდებარე 2546 კვ.მ. მიწის ფართობზე არსებული საცხოვრებელი კორპუსის (ს/კ 05.26.03.031) ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. შენობაზე დაფიქსირებული დაზიანებები კლასიფიკაციის მიხედვით განეკუთვნებიან I – II, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში III ხარისხის დაზიანებებს, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაძლებელია შენობის უსაფრთხო ექსპლუატაცია და რენტაბელურია სარეაბილიტაციო-გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება. თუმცა ყურადსაღებია შემდეგი გარემოებები:

- მოხდეს ბზარების მონიტორინგი [illegible]ზე ყალაურების დადების გზით. დაზიანებების პროგრესირების დაფიქსირების შემთხვევაში, [illegible] ორგანიზაციის მიერ ჩატარდეს წინასაპროექტო დეტალური კვლევა ჯდენითი დეფორმაციების გამომწვევი მიზეზების დადგენის მიზნით. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავებულ იქნას სათანადო გაძლიერების პროექტი;
- იმ შემთხვევაში თუ დაფიქსირდება სიტუაციის სტაბილიზაცია, მზიდ კედლებსა და მათი შეერთების ადგილებში ბზარების და გახსნილობების აღმოფხვრის მიზნით, დაზიანებები დამუშავდეს პოლიმერცემენტის ხსნარით და შესრულდეს სარემონტო-კოსმეტიკური სამუშაოები;
- სადარბაზოებში ღოუღელობის შედეგად დაზიანებების აღმოსაფხვრელად ჩასატარებელია სარემონტო სამუშაოები. კიბის ელემენტების კონსტრუქციული მდგომარეობიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში დამუშავდეს გაძლიერების პროექტი, რის საფუძველზეც მოხდება სარეაბილიტაციო-გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება.